სავაჭრო მოთხოვნები

აუდიტორული
პროცედურები

რეკონსილაცია

- მოიპოვეთ დებიტორული დავალიანების ბარათები, შეადარეთ ბარათზე არსებული ჯამური მაჩვენებელი საცდელ ბალანსს.

- შეადარეთ დებიტორული დავალიანების ბალანსები წინა პერიოდის ბალანსებს. შეამოწმეთ დებიტორული დავალიანებები, გონივრულობასა და თანმიმდევრულობაზე. შეადარეთ წინა საანგარიშგებო პერიიოდის შესადარისი მაჩვენებლები, წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

- უჩვეულო ან მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში მოიპოვეთ ახსნები/მიზეზები /მტკიცებულებები და განსაზღვრეთ მათი გავლენა დაგეგმილ აუდიტორულ პროცედურებზე.

- დებიტორული დავალიანების ბარათები უნდა მოიცავდეს ინფორმაცაის დებიტორულ დავალიანებაზე თითოეული მომხმარებლის ჭრილში.

შერჩევა

- განსაზღვრეთ სამუშაო არსებითობა, აუდიტის მეთოდოლოგიის და რისკების გათვალიწინებით.
- ყველა შერჩეული ელემენტისთვის, რომელიც აღემატება სამუშაო არსებითობის ზღვარს შეამოწმეთ დამხმარე დოკუმენტაცია, რათა დადგინდეს მათი ვალიდობა.
- უჩვეულო ან საეჭვო დებიტორული დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში გამოიკვლიეთ და მოიპოვეთ დამატებითი მტკიცებულებები მათ ვალიდობასთან დაკავშირებით. დაადოკუმენტირეთ ჩატარებული პროცედური და მოპოვებული მტკიცებულებები.
- დაადგინეთ არის თუ არა საჭირო დამატებითი შერჩევა. დაადოკუმენტირეთ შერჩეული მიდგომა და მისი განსაზღვრის საფუძველი.
- უჩვეულო ან საჭვო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში განსაზღვრეთ გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე.

დასტურის წერილები

- განიხილეთ დებიტორული დავალიანების მესამე მხარეებისაგან დადასტურების საკითხი, დებიტორული დავალიანებების არსებობის დასადასტურებლად. იმ შემთხვევაში, თუ დებიტორული დავალიანების მესამე მხარეებისაგან დადასტურება არ მოხდება, მიუთითეთ მიზეზი და დაასახელეთ, რა ალტერნატიული პროცედურები უნდა ჩატარდეს.

- დასტურის წერილების გაგზავნის შემთხვევაში დარწმუნდით რომ წერილი იგზავნება სწორ მისამართზე, სწორ ადრესატთან, აკონტროლეთ პროცესი რომ დასტურის წერილი პირდაპირ აუდიტროთან იყოს დაბრუნებული.

- შეადრეთ მიღებული წერილები საბუღალტრო პროგრამაში არსებულ მონაცემებს. სხვაობების არსებობის შემთხვევაში გამოიკვლიეთ მიზეზები.

- მოიპოვეთ და დაადოკუმენტირეთ მტკიცებულებები რომელიც ხსნის აღნიშნულ სხვაობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- განსაზღვრეთ აღმოჩენილი სხვაობების გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე.

ანარიცხები

- მოიპოვეთ ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების ჩამონათვალი და დაადარეთ შესაბამის ბარათზე ასახულ, ძირითად სავაჭრო დებიტორული დავალიანების მაჩვენებელს.

- მოიპოვეთ დეტალური ბარათები ვადაგადაციელბული დებიტორული დავალიანებისათვის მათი ანაზღაურების ანალიზის ჩასატარებლად. შეისწავლეთ ანაზღაურების საკითხი გადაუხდელი ნაშთებისათვის.

- მოიპოვეთ კომპანიის ანარიცხების შექმნის პოლიტიკა და შეაფასეთ მისი შესაბამისობა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. ანარიცხის პოლიტიკის გონივრულობის დასადგენად ჩაატარეთ რეტროსპექტიული ტესტი. დაადგინეთ, იყო თუ არა წინა საანგარიშგებო წელს შექმნილი რეზერვის ოდენობა მართებული - მიმდინარე პერიოდის მონაცემებით.

- რეტროსპექტული მიმოხილვის შედეგებზე დაყრდნობით, დაადგინეთ არის თუ არა მისაღები და თანმიმდევრული მიმდინარე წლის დაშვებები.

- აუდიტორის ანგარიშის შედგენის თარიღისთვის, ნებისმიერ დაუფარავ დებიტორული დავალიანების ნაშთთან მიმართებაში, რომელიც სამუშაო არსებითობას აღემატება (ინდივიდუალურად ან მთლიანობაში), ასეთი ნაშთების დადასტურების მიზნით, ცალკეული დადასტურების პროცედურები განახორციელეთ. დარწმუნდით, რომ ნებისმიერ დებიტორულ დავალიანებას, რომელიც უიმედო დებიტორულ დავალიანებად ჩაითვალა, შესაბამისი ანარიცხი შეექმნა.

დროში გამიჯვნა და გადაფასება

- გადაამოწმეთ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გაცემული ყველა მნიშვნელოვანი საკრედიტო ნოტა, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი არ უკავშირდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე გაყიდვებს.
- გადაამოწმეთ დებიტორული დავალიანებების სააღრიცხვო წიგნში შეტანილი საკრედიტო ნაშთები. იმ შემთხვევაში, თუ ეს საკრედიტო ნაშთები სარწმუნოდ ჩაითვლება, განიხილეთ მათი კრედიტორებად რეკლასიფიკაციის საკითხი.
- შეამოწმეთ ფინანსური წლის დახურვა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაცემული ინვოისებისა და საკრედიტო ნოტების გადამოწმების გზით და დარწმუნდით, რომ ისინი აღრიცხულია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში, შესაბამის დოკუმენტზე მითითების გაკეთებით.
- დარწმუნდით, რომ უცხოურ ვალუტაში მისაღები ნებისმიერი სავაჭრო დებიტორული დავალიანება სწორად არის გადაყვანილი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას არსებულ განაკვეთზე და სახეზეა სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისი აღრიცხვა.

ზოგადი პროცედურები

- დარწმუნდით რომ აუდიტის პროცედურების დროს აღმოჩენილი სხვაობები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.
- დარწმუნდით რომ ფინანსური ანგარიშგებაში გახსნილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოთხოვნილი ყველა საჭირო ინფორმაცია.
- დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ოფიციალური წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის მიმართ წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში.
- დარწმუნდით რომ დასკვნა შესაბამისია.

კითხვები ?